ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12. 3722318001**
თარიღი:**14/11/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 11 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 27 814,0 ათ. ლარით. მიმდინარე წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 61371,7 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა შესრულებულია 58,51%-ით, ხოლო ფაქტიური საკასო ხარჯების წლიური გეგმა 48,22%-ით.

კომისია აღნიშნავს, რომ შესაბამის პერიოდში საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება წლიური გეგმის 64,12%-ს შეადგენს; სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსება 65,82%-ს, ხოლო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება კი 63,26%-ს, რაც იმის საფუძველს ქმნის, რომ წარმატებით შესრულდეს წლიური ფისკალური გეგმა.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მარინა ვაშალომიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი